

ჯაზი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული / არამხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	700
კითხვის დონე:	XVI
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ჯაზის წარმოშობის მოკლე ისტორია. რატომ უკავშირდება ჯაზი ამერიკას? ვინ შემოიტანა ჯაზი ამერიკაში? ცნობილი ჯაზმენები და მათი ცხოვრების საინტერესო ფაქტები. საინტერესო ამბები ჯაზის შესახებ...

გაკვეთილის მიზანი:

1. ტექსტის გასაგებად წიგნის კითხვის რეზიუმირების/შეჯამების მეთოდის გამოყენება;
2. ტექსტის მთავრი იდეისა და დამხმარე დეტალების იდენტიფიცირება;
3. ტექსტში მოცემული ზედსართავების იდენტიფიცირება, მუშაობა

რესურსები:

1. წიგნი - „ჯაზი“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის);
2. დაფა, ცარცი;
3. სამუშაო ფურცლები.

გაგება / გააზრება:

1. ტექსტის მთავარი იდეის გაგება-გააზრება.

2. ტექსტის ქვესათაურებზე, როგორც ტექსტის გაგების დამხმარე დეტალებზე, მუშაობა.

3. ჯაზის სხვადასხვა მიმდინარეობის შედარება.

მორფოლოგია

1. ზედსართავი სახელის, როგორც მეტყველების ნაწილის გახსენება;

2. ტექსტში ზედსართავი სახელების მოძებნა;

3. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელების გამიჯვნა.

4. ზედსართავი სახელების წარმოება.

სტრატეგიები და მეთოდები:

ტექსტის გაგება/ აღქმის მხარდასაჭერად წიგნის კითხვის რეზიუმირების მეთოდის გამოყენება.

ტექსტის გაგება / გააზრება - ტექსტის მთავარი იდეის ამოცნობა;

ტექსტის ქვეთავები -როგორც ტექსტის დამხმარე დეტალები;

კითხვის დაწყებამდე

ჩართეთ მოსწავლეები მუსიკის შესახებ დისკუსიაში. გააკეთეთ დაფაზე იდეათა ქსელი.

ცენტრში ჩაწერეთ სიტყვა „მუსიკა“. ჰკითხეთ მოსწავლეებს მუსიკის ჟანრების შესახებ. მუსიკის რომელ ჟანრებს იცნობენ? მუსიკის რომელი ჟანრი გაუგონიათ? თვითონ რა ჟანრის მუსიკას უსმენენ?

ჰკითხეთ, ხომ არ იციან მომღერალი ან მუსიკოსი, რომელიც კონკრეტულ ჟანრში მუშაობს? ახსენეთ ჯაზიც, თუ ის რომელიმე მოსწავლემ არ დაასახელა.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ყველა ტექსტს აქვს მთავარი და არამთავარი იდეები. მთავარი იდეა ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტში. არამთავარი იდეები მკითხველს ტექსტის გაგებაში ეხმარება. უთხრით, რომ ხშირად ტექსტის მთავარი იდეა ტექსტის სათაურშივეა გამოტანილი. სთხოვეთ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ტექსტის სათაური და გამოთქვან საკუთარი აზრი, რა შეიძლება იყოს მოცემული ტექსტის მთავარი იდეა.

- **სთხოვეთ მოსწავლეებს, თვალი გადაავლონ ტექსტში მოცემულ ქვესათაურებს.**
- **აუხსენით, რომ ტექსტის ქვესათაურები მკითხველს ტექსტის გაგებაში ეხმარება.**

ხმამაღლა ფიქრი: როგორც სათაურიდან შევიტყვე, ეს ტექსტი ჯაზის შესახებ იქნება. შესავალში იყო რამდენიმე ძალიან საინტერესო წინადადება: „ჯაზი შავკანიანების უცნაური გამოგონებაა“, აგრეთვე „ჯაზის ისტორია აფრიკული მუსიკით იწყება“ ეს წინადადებები „კაუჭებივით“ არიან. მათ უფრო დიდი ინტერესი გამოიჩინეს ტექსტი მიმართ. საინტერესოა, რას გვიყვება ავტორი ჯაზის შესახებ? მე ვიცი, რომ ჯაზი ამერიკამ გააცნო მთელ მსოფლიოს. თურმე ის აფრიკული მუსიკა ყოფილა. მე მინდა, სწრაფად გადავხედო ტექსტის ქვესათაურებს. ამ გზით მე წინასწარ მეცოდინება, რის შესახებ წერია ტექსტში. ტექსტის ქვესათაურებია: „ჯაზის სახელწოდება“, „პირველი ჯაზმუსიკოსი“, „ლუის არმსტრონგი“. „თანამედროვე ჯაზი“, „ჯაზ-ფიუჟენი“, „მაილს დევისი“ და სხვ... აქ იმდენია უცხო სახელია! ეს ყველაფერი კი ჯაზთან კავშირშია. საინტერესო ტექსტი ჩანს...

- **მოსწავლეებს სთხოვეთ, წაიკითხონ ტექსტის ქვეთავი „ჯაზის სახელწოდება“. ჰკითხეთ მათ, როგორ ფიქრობენ, საიდან მოდის ეს სახელწოდება.**
- **წაახალისეთ, გამოხატონ საკუთარი მოსაზრება: რას ნიშნავს სიტყვა „ჯაზი“**
- **შეაჯამეთ მათი იდეები. ბოლოს წაიკითხეთ ხმამაღლა ქვეთავი „ჯაზის სახელწოდება“. საინტერესოა, თუ დაემთხვევა მოსწავლეების მოსაზრებებს ტექსტში მოცემული ვარაუდები ჯაზის სახელწოდების წარმოშობასათან დაკავშირებით.**

ჯგუფური სამუშაო

დაყავით კლასი ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მიეცით ორ-ორი (ან სამ-სამი - ბავშვების რაოდენობის მიხედვით) ქვეთავი წასაკითხად. აუხსენით, რომ წაკითხვა შეუძლიათ ერთობლივად, ზუზუნით, ან ჯგუფიდან შეუძლია ხმადაბლა წაიკითხოს ერთმა და დანარჩენებმა მოუსმინონ.

სთხოვეთ, ტექსტის წაკითხვის შემდეგ იმსჯელონ წაკითხული ქვეთავის შესახებ ჯგუფში: რას/ვის ეხება ქვეთავი, რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი. რა წაკითხეს მათ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მოცემულ ქვეთავებში.

მიეცით მითითება, რომ მსჯელობის შემდეგ სამუშაო ფურცელზე დაწერონ ქვეთავის სათაური და ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი და საინტერესო დეტალები ტექსტიდან. მაგალითად, ქვეთავი „ლუის არმსტრონგი“ - შავკანიანი, ღარიბი ოჯახიდან, უყვარდა ქუჩის მუსიკოსები, უკრავდა კორნეტზე.

მსგავსი ტიპის ჩანიშვნები გააკეთოს ყველა ჯგუფმა. სამუშაოს შესასრულებლად მიეცით 5 წუთი. სამუშაოს დასრულების შემდეგ სთხოვეთ, ჯგუფიდან აირჩიონ ერთი ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის მიერ შესრულებულ დავალებას. სთხოვეთ, ყურადღებით მოუსმინონ ყველა ჯგუფის გამოსვლას. თითოეული ქვეთავის ჩანიშვნები დაწერეთ გარკვევით დაფაზე. დავალების პრეზენტაციისათვის მიეცით თითო წუთი.

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლებმა უკვე იციან, რა არის თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა და საინტერესო ფაქტი. შეაჯამეთ მათთან ერთად მათ მიერ ჩანიშნული მიგნებები და გამოკვეთეთ ტექსტის მთავარი იდეა/იდეები. შეჯამებასა და მსჯელობას დაუთმეთ 5 წუთი.

- ტექსტზე მუშაობის დროს მოსწავლეები უკვე გაეცვნენ ჯაზის სხვადასხვა მიმდინარეობას.
- კიდევ ერთხელ ერთობლივად გადაავლეთ თვალი ამ მიმდინარეობებს (ბი ბოპი, ჰარდ ბოპი, ჯაზ-ფიუჟენი, როკ ჯაზი, მსუბუქი ჯაზი), შეგიძლიათ ხმამაღლა წაუკითხოთ ჯაზის მიმდინარეობებთან დაკავშირებული ტექსტის ნაწილი. სთხოვეთ, ყურადღება გაამახვილონ, რა ახასიათებს ჯაზის ამა თუ იმ მიმდინარეობას, ვინ არის წარმომადგენელი, როდის გახდა პოპულარული და ასე შემდეგ... საერთო ჯამში, მათ უნდა შეკრიბონ ექსპლიციტური ინფორმაცია ტექსტიდან ჯაზის მიმდინარეობების შესახებ.
- დაფაზე გააკეთეთ წრეები, წრეებში სათითაოდ ჩაწერეთ ჯაზის თითოეული მიმდინარეობის სახელწოდება. კიდევ ერთხელ შეაჯამეთ წაკითხული მასალა მოსწავლეებთან ერთად. თითოეული წრის ირგვლივ აღნიშნეთ მოსწავლეების მიერ გადმოცემული ინფორმაცია ამ მიმდინარეობების შესახებ, მაგალითად:



- მიეცით საშუალება, ტექსტიდან მიღებული ცოდნის გარდა, საკუთარი გამოცდილება, ცოდნა გამოავლინონ ჯაზის მიმდინარეობებთან დაკავშირებით.

ჯგუფური სამუშაო

- ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მიეცით დავალება, გაიხსენონ კიდევ ერთხელ წაკითხული ტექსტიდან ჯაზის მიმდინარეობები. თითოეულ ჯგუფს მიეცით ორი კონკრეტული მიმდინარეობა, მაგალითად, „როკ-ჯაზი“ და „მსუბუქი ჯაზი“. სთხოვეთ, გაიხსენონ ამ მიმდინარეობების მახასიათებლები და შეადარონ ისინი ერთმანეთს. შედარებისას, შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შეფასებები, მაგალითად, „როკ-ჯაზი“-სწრაფი, ხმაურიანი... „მსუბუქი ჯაზი“-ნელი, სევდიანი, მშვიდი.....

- დავალების შესასრულებლად მიეცით 5 წუთი. დავალების წარმოდგენისათვის თითო წუთი თითოეულ ჯგუფს. ჯგუფური სამუშაოს შესრულების შემდეგ ერთობლივად შეაჯამეთ ჯაზის მახასიათებლები.

მორფოლოგია

ზედსართავი სახელი

- გაიხსენეთ განვლილი მასალიდან ზედსართავი სახელი. კიდევ ერთხელ განსაზღვრეთ, რას ნიშნავს ზედსართავი სახელი, როდის და რომელ მეტყველების ნაწილთან ერთად გამოიყენება ის;
- შეახსენეთ კიდევ ერთხელ მოსწავლეებს ზედსართავი სახელის განსაზღვრება და მოიყვანეთ მაგალითები;
- გაიხსენეთ, რომელ კითხვებზე პასუხობს ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელის კითხვები გარკვევით დაწერეთ დაფაზე.

ჯგუფური სამუშაო

დაყავით კლასი სამუშაო ჯგუფებად. ყველა ჯგუფს სთხოვეთ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ტექსტი ხმადაბლა (შეუძლიათ წაიკითხონ ზუზუნით, იმსჯელონ ხმადაბლა) და მოძებნონ ზედსართავი სახელები. სთხოვეთ, ზედსართავი სახელები ამოიწერონ სამუშაო ფურცლებზე. დავალების შესასრულებლად მიეცით 4 წუთი. შეარჩიეთ ერთი ჯგუფი პრეზენტაციისათვის. სამუშაოს წარმოდგენისათვის შერჩეულ მოსწავლეს წააკითხეთ ხმამაღლა მათი ჯგუფის მიერ ნაპოვნი ზედსართავი სახელები. დანარჩენ ჯგუფებს სთხოვეთ, ყურადღებით მოუსმინონ მას და დაამატონ ის ზედსართავი სახელი, რომელიც პრეზენტატორს არ დაუსახელებია. პრეზენტაციისათვის მიეცით 2 წუთი.

- **აუხსენით, რომ ზედსართავი სახელი ორგვარი არსებობს: ვითარებითი და მიმართებითი.**

ვითარებითი ზედსართავი სახელები ძირეული ზედსართავი სახელებია. მათ პირველად ზედსართავ სახელსაც უწოდებენ. მაგ: თეთრი, შავი, კარგი, ცუდი...

მიმართებითი ზედსართავი სახელი ნაწარმოები სიტყვაა: იგი მიღებული თვითონ ზედსართავი სახელისგან ან სხვა მეტყველების ნაწილისაგან. მაგ: არსებითი სახელისგან, რიცხვითი სახელისგან.

მაგ: „სევდა“ არსებითი სახელია, „სევდიანი“ კი მისგან მიღებული ზედსართავი სახელი. „სევდიანი“- მიმართებითი ზედსართავი სახელია.

- **აუხსენით მიმართებითი ზედსართავი სახელის წარმოების წესი.**

მიმართებითი ზედსართავი იწარმოება შემდეგი ბოლოსართების დართვით: -ელ (ქალაქ-ელ-ი), -ურ (კახ-ურ-ი), -იან (ქუდ-იან-ი).

მიმართებითი ზედსართავი სახელები იწარმოება ასევე ერთდროულად თავსართისა და ბოლოსართის დართვითაც:

უ- ეს (უ-ლამაზ-ეს-ი), სა-ო (სა-ინტერეს-ო), უ-ო (უ-სახელ-ო).

ჯგუფური სამუშაო

კვლავ დაყავით კლასი ჯგუფებად. სთხოვეთ, გაიხსენონ წინა დავალება და თვალი გადაავლონ სამუშაო ფურცლებზე ტექსტიდან ამოწერილ ზედსართავ სახელებს.
ახლა მათ უკვე იციან განსხვავება ვითარებით და მიმართებით ზედსართავ სახელებს შორის.
სთხოვეთ, თითოეულმა ჯგუფმა იმსჯელოს, მოცემული ზედსართავი სახელებიდან რომელია ვითარებითი და და რომელი - მიმართებითი. სამუშაოს შესასრულებლად მიეცით 2 წუთი. სამუშაოს დასრულების შემდეგ ერთად იმსჯელეთ, რომელი სიტყვისგან/მეტყველების ნაწილისაგან არის წარმოქმნილი კონკრეტული მიმართებითი ზედსართავი სახელები.
მეტი თვალსაჩინოებისათვის გამოიყენეთ დაფა. მაგალითად, ტექსტიდან ავიღოთ ერთ-ერთი მიმართებითი ზედსართავი სახელი „საცეკვაო“ (საცეკვაო მუსიკა).
გამოყავით თავსართი და ბოლოსართი: სა-ცეკვა-ო. ხაზი გაუსვით მიმართებითი ზედსართავის მაწარმოებელ თავსართ-ბოლოსართს. აღნიშნეთ, რომ ეს ზედსართავი ნაწარმოებია „ცეკვისგან“.
წაახალისეთ მოსწავლეები, თვითონაც დაშალონ მიმართებითი ზედსართავი სახელები თავსართ-ბოლოსართად და ფუძედ. იმსჯელონ ზედსართავი სახელის წარმომავლობაზე.

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

1. **დისკუსია:** ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა დაეხმარათ მათ ტექსტის გაგებაში / აღქმაში?

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს, სახლში შეადგინონ მიმართებითი ზედსართავი სახელები. მიეცით მათ წინასწარ შერჩეული არსებითი სახელების სია: თავი, კაბა, ქალაქი, ჭორფლი, რიტმი, ხმაური.

მოსწავლეთა მონიტორინგი, რა შეუძლიათ მათ...

1. დისკუსიებში ან სამუშაო ფურცლებზე საკუთარი საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობების დასახელება;
2. დისკუსიებში ჯაზის მთავარი მახასიათებლებისა და მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების დასახელება;
3. დისკუსიებში და სამუშაო ფურცლებზე ტექსტში მოცემული ინფორმაციის შეჯამება და ტექსტის მთავარი იდეის იდენტიფიცირება;
4. ჯგუფური სამუშაოების დროს მიმართებითი და ვითარებითი ზედსართავი სახელების განსაზღვრა;
5. ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის დროს მიმართებითი ზედსართავი სახელების წარმოება არსებითი სახელებისგან.